„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

-----------------------

27 იანვარი 2022 წ.

# <u>*დ ე ბ უ ლ ე ბ ა*</u>

## საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში
## (ვაჟები)

**2022 წელი**
**19-20 თებერვალი**
**გორი**

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ჭაბუკთა (ვაჟები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და გორის მუნიციპალიტეტთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2005-2006 წლებში დაბადებული ძიუდოისტები, რომელთაც 5-6 თებერვალს გამართულ შესარჩევ ტურნირში მოიპოვეს საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია.

## IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- შეჯიბრება ჩატარდება 2022 წლის 19-20 თებერვალს ქ. გორში, ახალ სპორტის სასახლეში, ჭალის დასახლება, თამარ მეფის 5/12.
- ჩამოსვლის დღე – 18 თებერვალი, წასვლის დღე – 21 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00 საათი.

## რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით

- ჩემპიონატში მონაწილე ყველა პირი (ძიუდოისტები, მწვრთნელები) ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო 24 საათში გაკეთებული სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ძიუდოისტები ტესტის პასუხებს წარმოადგენენ აწონვაზე.
- ჩემპიონატის მიმდინარეობისას დარბაზში ყველა პირი ვალდებულია ატაროს პირბადე. ძიუდოისტებს პირბადის მოხსნა შეუძლიათ ტატამზე შესვლის წინ.
- ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან მაყურებლები.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
  -50კგ; -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; -90კგ; +90კგ;
  19 თებერვალი: -50კგ; -55კგ; -60კგ; -66კგ;
  20 თებერვალი: -73კგ; -81კგ; -90კგ; +90კგ;

## VI. აწონვა

ქ. გორი, ჭალის დასახლება, თამარ მეფის 5/12, ახალი სპორტის სასახლე.

*18 თებერვალი*

-50კგ; -55კგ; -60კგ; -66კგ;
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

*19 თებერვალი*

-73კგ; -81კგ; -90კგ; +90კგ;
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

## VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

## VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და გორის მუნიციპალიტეტთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 0322516466;

საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 568719720 გიორგი ქოთოლაშვილი.

## □უ.

- <u>შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი ფერის კიმანოს ქონა.</u>
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა, მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ათაბეგაშვილი